ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

აფილირებული აკადემიური/აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის, საბაკალავრო, სამაგისტრო და პრაქტიკის ხელმძღვანელობის ანაზღაურების წესი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 15.05.2023 წ.

დადგენილება N25.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N45.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სასწავლო პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების სრული დაცვით;

1.2. აფილირებული აკადემიური/აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის, საბაკალავრო ნაშრომის, სამაგისტრო ნაშრომის და პრაქტიკის ხელმძღვანელობის ანაზღაურების წესი არეგულირებს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული საათების, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობის, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის და პრაქტიკის ხელმძვანელობის ანაზღაურების პირობებს.

მუხლი 2. საათობრივი ანაზღაურება

2.1. ლექტორი ვალდებულია შეასრულოს სილაბუსით გაწერილი სასწავლო პროგრამა. უნივერსიტეტის სკოლის დეკანი ამოწმებს შეასრულა თუ არა ლექტორმა სასწავლო და საგამოცდო კვირების დატვირთვა და ასევე, აღადგინა თუ არა გაცდენილი საათები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.2. იმ შემთხვევაში თუ ლექციას და სემინარს უძღვება სხვადასხვა პირი, შუალედური გამოცდის მასალის მომზადება და შეფასება ევალება სემინარის ხელმძღვანელს, ხოლო დასკვნითი და დამატებითი მასალის მომზადება და შეფასება - ლექტორს.

მუხლი 3. აფილირებული აკადემიური/აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

3.1. აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალის დატვირთვისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მას უკავია აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობა ან თანამშრომლობს მასთან, როგორც მოწვეული პერსონალი. აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალი ვალდებულია ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტს მიაწოდოს ინფორმაცია მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსალოდნელი დატვირთვის შესახებ;

3.2. აფილირებული პროფესორის სასწავლო დატვირთვა მოიცავს:

ა. კვირაში 8 – 10 საკონტაქტო საათის ჩატარებას (ლექცია, სემინარი);

ბ. პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას;

გ. სამეცნიერო საქმიანობის შესრულებას.

3.2.1. აფილირებული ასოცირებული პროფესორის დატვირთვა მოიცავს:

ა. კვირაში 10 – 12 საკონტაქტო საათის ჩატარებას (ლექცია, სემინარი);

ბ. პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას;

გ. სამეცნიერო საქმიანობის შესრულებას.

3.2.2. აფილირებული ასისტენტ - პროფესორის დატვირთვა მოიცავს:

ა. კვირაში 12 – 14 საკონტაქტო საათის ჩატარებას (ლექცია, სემინარი);

ბ. პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას;

გ. სამეცნიერო საქმიანობის შესრულებას.

3.2.3. აფილირებული ასისტენტის დატვირთვა მოიცავს:

ა. კვირაში 14 – 16 საკონტაქტო საათის ჩატარებას (ლექცია, სემინარი);

ბ. პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას;

გ. სამეცნიერო საქმიანობის შესრულებას.

3.3. აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირება/განვითარების პროცესში, ასევე საუნივერსიტეტო ღონისძიებებსა და აქტივობებში. აღნიშნული აქტივობები არ ექვემდებარება დამატებით ანაზღაურებას;

3.4. მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 40 (ორმოც) საათს, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მისი დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძვანელობის ანაზღაურების წესი

4.1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური/აკადემიური ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია;

4.2. აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალი ვალდებულია ერთი სასწავლო წლის განმავლობაში უხელმძღვანელოს მინიმუმ 2 (ორი) და მაქსიმუმ 5 (ხუთი) სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს;

4.3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. თითო სტუდენტზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძვანელობის ანაზღაურების წესი

6.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური/აკადემიური ან მოწვეული პროფესორი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია;

6.2. ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია ერთდროულად მაქსიმუმ 5 (ხუთი) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;

6.3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. თითო სტუდენტზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 7. პრაქტიკის ხელმძღვანელობის ანაზღაურების წესი

7.1.პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური/აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომლესაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია;

7.2. პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელობა ანაზღაურდება სტუდენტის რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 8. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

8.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

8.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

8.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.